

გამოცემა ა. შავშალათოვისა № 193.

# ქონის ჟამირზი

(იხტორიული ამბავი)

მეზუთე გამოცემა

— — —

რ უ თ ა ი ს ი

გომელის ლური მეფის ნების სტამბა  
1927



გამოცემა ა. შავენარათოვის № 193.

# ჭობის გამირზი

(ისტორიული ამბავი)

მეზუთე გამოცემა

36482



კუთაისი  
გომილალური მეურნეობის სტამბა  
1927

## პონის შაბირდი.

### I

მე რომ პატარა ვიყავი, ჩემმა მშობლებმა სკო-  
ლაში მიმაბარეს. იქ რამდენსამე ხანს დაყრჩი. ჩემი  
მასწავლებელი ძალიან კარგი კაცი იყო, კარგად  
მასწავლიდა; ყოველთვის იმას ცდილობდა, შეგირ-  
დი ოსტატს სჯობნებოდა. მაგრამ მართალი ვითხრა,  
მე საშინელი ცელქი და ცულლუტი ვიყავი: არც  
ჩემი მასწავლებლის დარიგება მესმოდა არც წიგნი  
და გაკვეთილები მიყვარდა. ყოველთვის ჩემს ტო-  
ლებში თამაშობა მაგრანდებოდა: „თვალ-ხუჭინა“,  
„ძერა-დიდია“, „ბურთაობა“, „კეკე-მალულა“, ქუ-  
დი-დავლა“, „ჩილიკა-ჯოხი“, „ასკინკილა“, და  
სხვანი. დრო კი მიფრინავდა და ნაცვლად წერა-  
კითხვის სწავლისა მე სულ ცულლუტობას და თა-  
მაშობას ვეჩვევოდი.

ჩემი მშობლები ერთობ მიწყრებოდნენ; სულ  
იმას მეუბნებოდენ კარგად ისწავლე, გაიზრდები—  
გამოგადგებაო; ამ დროში უსწავლელი კაცი ვერ  
გამოდგებაო... მე იმათ დარიგებას ყურს არ ვუგ-  
დებდი. ჩემს მშობლებზე უარესად ჩემი დიდი-დედა  
მიჯავრდებოდა და თანაც სულ იმას მეუბნებოდა:  
წიგნის სწავლა შეიყვარე თორემ ბოლოს ინანებო.

როცა კი ზაღამდებოდა, სანთელს ავანთებდი,  
ცოტა ხანს შემდეგ ჩვენები ყველა ერთად შეგრო-  
ვდებოდენ და ვახშამს შეუდგებოდენ; ვახშამს შემ-  
დეგ—საუბარსა. ჩემი ბებია დიდედა კი სულ იმას

მარიგებდა, რომ კარგად მესწავლა... ხშირად ზღა-  
პრეზიდუ მომიყვებოდა ხოლმე საბა თრგელიანის  
„სიბრძნე სიცრუიდამ“; „ვახტანგ მეფის“ „ქილილა  
და მანიდან“. „სწავლა კიდობნიდამ“. „რუსულანია-  
ნიდამ“ და სხვა ამისთანა ძველ წიგნებიდამ.

ერთხელ — აღარ მახსოვს კარგად, როდის —  
ჩემი მასწავლებლისაგან სწავლის ცუდი ნიშანი მი-  
ვიღე. ეს რომ სახლში შეიტყვეს, დედი და მამა  
ძალიან გაცხარდენ, დიდედამაც თავი ჩაჰურდა და  
ძველებურად, დარიგება დამიწყო. მე ჩემთვის ჩუმად  
ვიჯეჭი კუთხეში, ტახტზე, მაგრამ გონება მაინც  
სულ კარში, ბიჭებთან მქონდა გართული; სულ იმას  
ვნატრობდი, დედ-მამა მალე გარედ გასულიყვნენ,  
რომ მეც გავსულიყავ და ჩემს ტოლ ბიჭებში უზომო  
ცულლუტობა დამეწყო.

დიდედა ჩემი მოჰყვა შემდეგ ძველებურს ამბავსა:

— ქართველების მეფის ირაკლი მეორის დროს,  
ტფილისში, ანტონ კათალიკოზის სკოლაში,  
სწავლობდა ერთი ხელოსანი კაცის შვილი. ყმაწვი-  
ლი იყო ცელქი. უფრო ცელქობას ეტანებოდა და  
ამისათვის ვერ სწავლობდა, თუმცა მასწავლებელნი  
ყველას საშვალებას ხმარობდენ მის გასასწორებლად,  
ყველა ლონის ძიება ამაռდ დარჩა. რამდენიმე ხნის  
შემდეგ კათალიკოზის თანხმობით ის შეგირდი  
დაითხოვეს და იმის ალაგას სხვა მიიღეს.

მაშინ თფილისში ქართველების თერთმეტი  
კარგი სკოლა იყო, ქართველ ფრანგების სკოლა  
შუა ბაზარში, 1620 წლებში დაარსებული, აქ მას-

წავლებლად პატრები იყვნენ და ყველაფერს ქართულ ენაზე ასწავლიდენ. ორი სომხების სკოლა იყო, ვან-ჭის და ჯიგრაშენის და თერთმეტიც ქართველების სკოლები იყო, ქაშუეთის გვერდით, ანჩხატის, სიონის, კალოუბნის, ჯვარი-მამის, კათალიკოზის, სამეფო სკოლა, თფილელის სკოლა, სამხედრო სასწავლებელი სადაც თოფის წამლის კეთებას და ხმარებას ასწავლიდენ და საექიმო სასწავლებელი. მაშინ რა-დგანაც ქართველთ მეფობა იყო, ამიტომ ყველგან ქართული ენა იყო საჭირო და ამ ენაზედაც ასწავლიდენ ბავშვებს ყველაფერსა.

სკოლაში ყოფნას ამ ყმაწვილისათვის ცუდად მაინც არ ჩაუვლია; იმან შეისწავლა წერა-კითხვა, ქართული ზღაპრები, შაირები; ლოცვები და სხვა... რამდენიმე ხანი ეს ცელქი გიგლა—ეს იყო იმისი სახელი—შინ დარჩა. გაიარა ცოტა ხანმაც და მშობლებმა, ერთ ჭონს მიაბარეს. აქ რამდენისამე ხანს დაჰყო მან და ხელობასაც ხალისიანად შესწავლა დაუწყო.

## II

მაისის ერთ მშვენიერ დილას, 1766 წელს, როდესაც მზემ თავისს ბრწყინვალე სხივებით თფილისის არე-მარე და გულ-მაყად მდგომარე მეტეხი, სიონის ეკკლესია და ნარიყალის ციხე შემოსა, იმ მშვენიერს დილას მთელ თფილისში გაისმა ხმა, რომ ჭონის შაგირდი, გიგლა დაიკარგაო... დაიწყეს ძებნა. ქალაქის ერთ მხარეს გიგლას მშობლები და ოსტატი ეძებდენ და მეორე მხარეს ნაცნობები. დაღამდა,

მაგრამ გიგლა მაინც არსად არ გამოჩდა. ამ შემთხვევაში არა მარტო მისი მშობლები, მთელი თფილისის ხალხიც შეაწუხა, შეიქმნა ჩოჩქოლი: ყველა იმას ამბოდა, რომ გიგლა წყალში ჩავარდაო—იმ დროს წყალ-დიდობა ყოფილა. ამას მით უფრო ამტკიცებდენ, რომ ოსტატი ხშირად გზავნიდა გიგლას წყალზე ორის ლიტრით... მაშინდელს დროში, თურმე, ოსტატისთვის დუქანში წყალს შაგირდები ეზიდებოდენ.

ეჭვით სავსე გიგლას მშობლები ოსტატს ედავებოდენ თავიანთ შვილსა.

— წუხელ საღამოს მე ის წყალზე არ გამიგზავნია, დაბინდებისას დავითხოვე, ეფიცებოდა მშობლებს ოსტატი.

— თუ დაითხოვე, მაშ სად არის ჩვენი შვილი? მწუხარებით ეკითხებოდენ ეკითხებოდენ ასტატს მშობლები.

— ღმერთია მოწამე, კათალიკოზის წინაშე დავიფიცავ, სიონის წინაშე მუხლს მოვიდრეკ, კათალიკოზის წყევა-შეჩვენებას მივიღებ. თუ ამას ტყულს ვამბობდვ!...

გიგლას მშობლებმა მაინც არ ირწმუნეს.

მესამე დღეს გიგლას მშობლებმა მიმართეს სამეფო სამმართველოში და ისურვეს მეფის მსაჯულის ნახვა. მსაჯულმა მიიღო ისინი სამეფო—საბჭო დარბაზში. გიგლას მშობლებმა მისცეს სალამი და მოახსენეს შემდეგი:

— დიდო ბატონო და სიმართლის მსაჯულო! გუშინ წინ საღამოს ჩვენ დაგვერკავა მცირე წლოვანი ვაჟი, სახელად გიგლა. ეს მესამე დღე ვეძებთ

და ვერსად ვიპოვნეთ. ყველა იმას ამბობს, რომ  
გიგლა მისმა ოსტატმა წყალზე გაგზავნა და წყლის  
ამოღების დროს წყალში ჩავარდაო.

— ვისთან იყო შეგირდათ თქვენი ყმაწვილი?  
კითხა მსაჯულმა.

— ჭონ-ხანაში, ბატონო, ერთ ჭონთან, სახელიად  
პავლეს უწოდებენ! მიუგეს მშობლებმა.

— მერე ოსტატიუარს ამბობს? არ გამიგზავნიაო?  
დიალ, ბატონო, სულ უარზე სდგას. მე ის  
წყალზე არ გამიგზავნიაო.

— კარგი, თქვენ დღეს შინ წადით, ხვალ დილით  
გამოცხადდით აქ. დღეს ჭონს შათირს გავუგზავნით,  
ხვალ ისიც აქ იქნება და თქვენს საქმეს გავარჩევთ.

— იმედი გვაქვს, მსაჯულო სამართლისა, რომ  
შეგვიბრალებთ და სამართალს მოგვცემთ! მიუგეს  
გიგლას მშობლებმა.

შემდეგ მსაჯულის თანაშემწემ დასწერა ჭონის  
ცნობიერება, იმის სახელი და გვარი, გიგლას მშო-  
ბლებმაც თაყვანი სცეს მსაჯულსა და დაბრუნდენ.

გიგლას ოსტატს იმ დღესვე შეატყობინეს და  
მეორე დღისთვის მიიხმეს სამეფო საბჭოში მსაჯუ-  
ლისა და მეფის წინაშე საქმის გასარჩევად.

დანიშნულს დღეს სამეფო საბჭოში გამოცხად-  
და გიგლას ოსტატი და მშობლებიც. ცოტა ხანს  
უკან შემობრძანდნენ: სამეფო მსაჯული, ბოქაულო  
უხუცესი, ესე იგი მაშინდელი „პროკურორი“, მუ-  
შრიბი—მაშინდელი მწერალი; ამათ მოჰყვენ სხვა  
მრავალი სამეფო და საერო მოსამართლენი, რომე-  
ლნიც კი საჭირონი იყვენ ამ საქმის გარჩევისათვის.

მსაჯულნი დალაგდენ, დაიწყეს წინ ვახტანგ მეფის „სამართლის წიგნი“, მაღაქია კათალიკოზის დაწერილი. ოღბულესი, გიორგი მეფისა, უძიული, ბერძნული; სომხური და სხვა საჭირო ქართველთა კანონების წიგნები. ახსენეს ღმერთი, ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინოს სიხელი და დაიწყეს გამოძიება:

— უსტა პავლე თქვენ გიჩივიან, რომ ამათი (მიუთითებს გიგლის მშობლებზე) შვილი თქვენთან ყოფილა შაგირდათ და ეს მეოთხე დღეა რც იღარა სჩანს, სადღაც დაკარგული, უთხრა მსაჯულმა ოსტატს-ჭონს.

— მერე, მე რა ვქნა, თქვენი ჭირიმე? იკითხა ჭონმა მოწიწებით.

— შენ ის უნდა მოახერხო, შვილო, რომ მოძებნე ამათი შვილი და ჩააბარე. ამას მოითხოვს სამეფო კანონი, მიუგო მსაჯულმა.

— ვერა, ბატონო! მე მაგას ვერ შევძლებ; იმის პოვნა ჩემი საქმე არ არის. მე რაც შემძელო ვიმე-ცალინე: ვეძებე, მაგრამ ვერსად ვნახე. სწორედ, როცა გაისმა ხმა გიგლა დაიკარგაო იმის წინა დღით, სალამოს, დავითხოვე და შინ წავიდა. ეს ამბავი მე იმ დღესვე ჩვენს უსტაბაშსაც გამოვუცხადე.

— თქვენ გაბრალებენ იმას, რომ დაკარგვის წინა დღით ორი ლიტრით წყალზე გაგიგზავნია, წყალში ჩავარდნილა და დამხრჩალა, უთხრა მსაჯულმა.

— არა, დიდო მსაჯულო! სულ ტყვილი ჭორებია ესენი, მიუგო მოწიწებით ჭონმა.

— ყველანი შენზე ამბობენ: შენის მიზეზით  
დაიკარგა ის ყმაწვილიო, ამიტომ გირჩევ სისწორითა  
სთქვა, თორებ სამეფო სამართალში მიეცემი და  
მეფე ირაკლიც შეგიტყობს.

— მაღლა ღმერთს გაძლევთ მოწმეთა და ძირს  
დედა-მიწასა, რომ მე ამათი შვილი არც მტკვარზე  
გამიგზავნია და არც ვიცი სად არის. სიონთა ღვთის-  
მშობლის წინაშე დავიფიცავ და კათალიკოზის კრუ-  
ლვას მივიღებ, რომ მე იმ ყმაწვილის დაკარგვაში  
არავითარი ბრალი არა მაქვს, მიუგო ჭონშა.

ბევრის გამოძიების შემდეგ ჭონი და ვიგლას  
მშობლები დაითხოვეს სამხართველოდამ და მეორე  
დღისთვის დაიბარეს განჩინების მოსასმენად.

ოსტატი და ვიგლას მშობლები გაბრუნდენ შინ.

მეორე დღეს ისევ გამოცხადდენ სამეფო დარ-  
ბაზში. შემობრძანდენ მსაჯულნიც. ყველა იმას ამ-  
ტკიცებდა, რომ ყმაწვილი წყალში დაირჩოვო. „მთე-  
ლი ქალაქის ხალხი სულ ამას ამტკიცებსო“, გაის-  
მოდა ყოველ მხრივ ხმა.

საქმის გამოძიების შემდეგ, ჭონი დამნაშავეთ  
სცნეს და ამიტომ ოთხი თვით ნარიყალის ციხეში  
ჯდომა აკუთნებს. განჩინება საქვეყნოდ გამოცხადდა.

მეორე დღეს ჭონი ჩასვენ კიდევც და ვიგლას  
მშობლებმაც ერთხანს კიდევ ბევრი ეძებეს, მაგრამ  
ვერსად იპოვეს. იმედ გადაწყვეტილები მიეცნენ გლო-  
ვასა, მწუხარებასა; შავები ჩაიცვეს და საეკლესიო  
წესებიც გადაუხადეს სამუდამოდ დაკარგულს შვილს.

ზოგნი მის დაკარგვას ებრაელებს სწამობდენ.  
ამათ მეფეს ფიცით მოახსენეს, რომ ჩვენ ასეთი საქმეები

არც ჩაგვიდენია და არც ჩავიდენთო; ამას უბრალოდ გვწამებენო. მეფემ ამათი ფიცი და სიტყვა ირწმუნა, რადგანაც ქართველი ებრაელნი საქართველოში ყოველთვის უვნებლად და მშვიდობიანად სცხოვრობდნენ.

— თქვენმა მზემ, რომ სწორეთ ურიებმა დაიჭირეს.

— სწორეთ, განიშეორებდენ მეორენი და თანაც დასძენდენ სხვა რამეს.

მაშინ ურიები თბილისში ესახლდენ სიონის ზემოთ, აქ ამათი მთელი უბანი იყო, ორი თორა ჰქონდათ და უფროსი რაბინი ქართველთაგანი იყო. ურიები მაშინ ვაჭრობის გამო მეფეთაგან პატივცემულნი იყვენ, პატივცემულნი იყვენ მით უფრო რადგანაც ქართველთ მეფენი დავითიანთ შთამამავლობას ურიათა წინასწარმეტყველის დავითისაგან აღიარებდენ.

ასე და ამ გვარად დაეკარგად გიგლა თავის მშობლებსა.

### III

საქართველოში, წარსულ დროს, სათათრეთიდამ შემოდიოდენ ვაჭრები, სოვლაგრები და სხვანი. იმათ ჩვენში შემოჰქონდათ: ტყავები, ზაფრანა, ძვირფასი თვლები, ჩითები, ძაფეულობა, სპარსული ხმელი ხილი, ქალალი და სხვა, რაც კი ქართველებისათვის საჭიროებას უეადგენდა. იმ დროში ამგვარი ვაჭარი ხალხისათვის საბინადრო სადგომებათ ქარვასლები იყო დაკეთებული. ქარვასლების დიდ-ძალი ოთახები, როვორადაც სოვლაგართა დასაბინავებლად,

აგრეთვე საქონლის შესანახათაც იყო დანიშნული. ამ გვარი ქარვასლების რიცხვი ისე დიდი იყო, რომ დღესაც კიდევ ბევრია დარჩენილი მაშინდელი გაშენებული ქარვასლები.

სწორედ იმ დროს, რა დროსაც გიგლა დაიკარგა, საქართველოში შემოვიდენ მდიდარი სოვ-დაგრები, რომლებმაც სავაჭროდ საქუდე ტყავები შემოიტანეს ჩვენში. ეს ვაჭრები ჩამოხტენ ერთს ქარვასლაში, დაიჭირეს დიდ-ძალი ოთახები და დაიწყეს ამ ტყავებით ჭონებში ვაჭრობა. ჭონებმა, იყიდეს თუ არა, დაიწყეს ამ ტყავების ღაზლების დახსნა და გადმოლაგება. რამოდენიმე ტყავზედ შენიშნეს ქართულის ასოებით მელით წარწერილი, საიდგანაც ამოიკითხეს შემდეგი: „მე, გიგლა, ჭონის შაგირდი, ამა-და-ამ დღეს რომ დავიკარგე, ი ამ ტყავის პატ-რონ-სოვდაგრებმა დამიჭირეს. მე დამწყვდეული ვარ ბატონშევილის ქარვასლის სარდაფების ერთ ოთახში, რომელიც ამ სოვდაგრებს უჭირავთ. მიშველეთ, თორემ დღეს თუ ხვალ, სპარსეთში წამეიყვანენ. ესენი თავიანთ ქარავანს უცდიან, ისინი ამ ერთ კვირაში გაჩნდებიან და, თუ მანამდის არ მიშველით, სამუდამოდ დავიკარგები“.

ჭონებმა ამოიკითხეს თუ არა, მაშინათვე გაავრცელდეს ხმა... პატარა შაგირდებში შეიქმნა ჩოჩლოლი; „გიგლა იპოვნეს, გიგლა იპოვნეს!.. სულ ამას ჰყვიროდენ და თანაც უხაროდათ, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ... ოსტატებმა მაშინათვე შეატობინეს უსტაბაშს. უსტაბაში თავის ამაღლით საჩქაროდ სამეფო მსაჯულთან წავიდა, ყველაფერი გამოუცხადა და თან

ერთი ტყავიც უჩენა, რომელზედაც ქართული წარწერა იყო.. მსაჯულმა მაშინათვე მეფე ირაკლის მოახსენა. მეფემ დაიბარა კარის კაცები, სახლთ უხუცესი, მილახორი, ნაზირი, ქალაქის ნაცვალი და მრავალი სხვანიც და უბრძანა, რომ საჩქაროდ წაღით ის ყმაწვილი მოსძებნეთ და დამჭერნი დაატყვევთ; ყმაწვილი კი აქ მოიყვანეთო.

წაგიდენ სამეფო პირნი, ჩავიდენ ქარვასლის ოთახებში და მართლაც ერთ ოთახში დამწყვდეული გიგლა იპოვეს. გიგლას ძალიან გაეხარდა. ამ დროს სოვდაგრები იქ არ იყვნენ, სადღაც მიიმაღნენ. გიგლა წამოიყვანეს.

ამასობაში გიგლას მშობლებსაც შეეტყოთ ეს ამბავი და ფეხ-შიშველა გამოქცეულიყვნენ სახლიდამ ქარვასლისკენ. გიგლა გზაში შეხვდა მათ. წარმოუღვენელი იყო მათი სიხარული, დაკარგულის კი არა, მათთვის მკვდარი შვილის მოპოვებით.

სამეფო პირებმა გიგლა სამეფო საბჭოში მიიყვანეს. მათ მიჰყვა გიგლას მშობლები და ყველა ისინი, ვინც იქ იყვნენ. ნაცვალმა ყველაფერი დაწვრილებით გარდაცა ირაკლი მეფეს. მეფემ მოისმინა და შემდეგ უბრძანა ნაცვალს:

— ნაცვალო! ეხლავ გაგზავნე კაცები და გაეცი ბრძანება, რომ ის სოვდაგრები დაიჭირონ და მოიყვანონ აქ.

— ეხლავ, დიდებულო მეფევ, მიუგო ნაცვალმა და შეუდგა კაცების გაგზავნას.

შემდეგ ამისა მეფემ ჯიბიდამ ამოიღო ლურჯი აბრეშუმის ქისა და იქიდამ რამდენიმე აბაზი აჩუქა გიგლას და თანაც ეს ჰკითხა:

— რა გქვიან, შვილო, სახელად?

— გიგლა, დიდო მეფევ.

— აბა, მიამბე, როგორ დაგიჭირეს სოვდაგრებმა?

— სალამოზე ოსტატმა დამითხოვა და მე შინ მივდიოდი. გზაში ორი კაცი შემხვდა, ერთმა ქართულად მითხრა: „წამოდი ჩვენთან, შენი ოსტატის ერთი ტყავია და წაუღე საჩქაროთაო“. მე წავყევი; რომ არ წავსულიყავ, ვიფიქრე: ვაი, თუ ხვალ შემიტყოს ოსტატმა, რომ უვარი უთხარი და ტყავი არ წავიღე-მეტქი და მერე ვინ იცის როგორ მცემდა... მე წავყევი ქარვასლაში; იქ სარდაფის ერთ ოთახში შემიტყულეს, დამამწყვდიეს და აღარ გამომიშვეს!

— მერე არ ტიროდი, რატომ ყვირილი არ დაიწყე? ჰკითხა მეფემ.

— ვტაროდი კიდეცა, ყვირილითაც ბევრი ვიყვირე, მაგრამ, აბა, ვინ რას შეიტყობდა, ისე მოშორებით ვიყავი. მოელი ძირის სართულის სარდაფები სულ იმ სოვდაგრებს სჭერით.

— მერე არ გითხრეს, სად უნდა წაგიყვანოთ? ჰკითხა მეფემ.

— როგორ არა, ბატონო. ერთმა სოვდაგარმა მითხრა, რომ მე მდიდარი კაცი ვარო, უშვილოვო, ჩემი ცოლი კარგი ქალიაო; სპარსეთში წაგიყვანოდა ჩვენ შვილად აგიყვანთო; ყველა ჩვენი ქონების პატრონი შენ იქნებიო.

— მშიერს ხომ არ გინახავდენ? ჰკითხა მეფემ.

— არა, სულ კარგი და კარგი საჭმელები მოჰქონდათ, მიუგო გიგლამ.

— მერე ეს როგორი მოახერხე, რომ ტყავზე დასწერე და ხალხს შეატყობინე?

— რაკი საშველი არაფერი მიჩნდებოდა და ჩემი წაყვანის დღეც ახლოვდებოდა, სულ იმას ვფიქრობდი, თავი როგორმე მეხსნა ტყვეობისაგან. იქ საშვალებას მე ვერ-რას ვხედავდი, გარდა ერთისა: იმ

სარღაფში გასასყიდი ტყავები ეწყო. ჩემდა სასიხა-  
რულოდ ჯიბეში აღმომიჩნდა პატარა მელის ნაჭერი:  
მელს ჭონის შაგირდები საქუდე ტყავების გასაზომად  
ვხმარობთ და ამიტომაც ყოველს ჭონის შეგირდს  
მუდამ ჯიბეში აქვს ხოლმე მელი. ტყავების ღაზ-  
ლები დავხსენი, თითო-თითოდ დავაცალჭევე და,  
სადაც კი მოვახერხე, დავიწყე იმ ტყავების ზედა-  
პირზე, წერა: როგორ დავიკარგე, როდის, ვინ  
დამიჭირა და სხვა. წიცოდი, რომ იმ ტყავებს სოვ-  
დაგრები ჭონებში გაიტანდენ გასასყიდად და ამ  
გვარად ჭონებიც შეიტყობდენ ჩემს დამავს. მე იმედი  
მქონდა, ამით მეშველებოდა და დამძინა თავი ტყვე-  
ობისაგან... ასე მოვიფიქრე დიდებულო მეფე!

— აბა, შვილო! პატარაობისეს წიგნს რომ არ  
სწავლობდი და სულ ცულლუტობდი, დღეს რომ  
წიგნი არა გცოდნოდა, იმ ტყავებზედაც ხომ ვერ  
დასწერდი? ვინ იცის, გაჭირვებიდამ თავს იხსნიდი,  
თუ არა!... უთხრა გიგლას დედამა.

— განა წიგნის სწავლა არ უყვარდა თქვენს  
შვილს? ჰკითხა სამეფო მსაჯულმა.

— არა, ბატონო სულ ძალით ვასწავლიდით;  
ჩეენს სიტყვებს არ იგონებდა, განსაკუთრებით მის  
ბებიისას, მიუგეს გიგლას მშობლებმა.

— ვისთან სწავლობდა? ჰკითხა მეფემ.

— ანტონ კათალიკოზის, საერთო სკოლაში,  
დიდებულო მეფევ.

— ვინ იყო შენი მასწავლებელი? ჰკითხა მეფემ  
გიგლას.

— ჩემი მასწავლებელი პატრი ივანე ფილიპე  
სააკაშვილი და პავლე ხუცესი გახლდათ, ბატონო.

ყველანი კარგად მასწავლიდენ, მაგრამ მე... არ  
ვშეცადინეობდი.

— ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ წიგნის ცოდნა,  
საჭირო ყოფილი კაცისთვის. აბა, რომ არ გცოდ-  
ნოდა, დღეს თავს ხომ ვერ დაიხსნიდი გაჭირვებისა-  
გან? დარიგების ხმით უთხრა მსაჯულმა.

— ეხლა კი დავრწმუნდი, რომ უწიგნო კაცი  
ქვეყანაზე ოლვილად დაიკარგება... ვმაღლობ ჩემს  
დედ-მამას, რომ იმათ მე სკოლაში მიმცეს! ვმაღლობ  
ჩემს მასწავლებელსაც, რომელიც ყოველთვის იმას  
მეუბნებოდა, რომ გარვეთილები კარგად მესწავლა.  
დღეს მე იმის დახსნილი ვარ! დღეს კი მჯერა ყვე-  
ლაფერი, რასაც ის მარიგებდა. მჯერა ყველა ესენი  
და ამიტომ მინდა ყველას მაღლობა გარდაუხადო  
და ჩემს ცელქს ამხმნაგებსაც ვუამბო, რომ უწიგნო  
კაცი მართლა ბრძაა ამ ქვეყანაზე!..

ამით გაათავა გიგლამ.

სამეფო მუშრიბმა ყველა ესენი დასწერა. გიგ-  
ლა თავის მშობლებით შინ დაბრუნდა. გზაში ყვე-  
ლანი სიხარულით ეგებებოდენ გიგლას. ნათესავები  
და ნაცნობები ულოცავდენ, რომ დაკარგული შვი-  
ლი იპოვნეს.

აქა-იქ პატარა ყმაწვილებში გაისმოდა ყვირილი.

— გიგლა იპოვნეს, გიგლა იპოვნეს!

#### IV

საჭმის გათავების შემდეგ მსაჯულმა შეაღგინა  
განჩინება, ბოქაულთ-უხუცესმა განიხილა, მეფემ  
დაასო სამეფო ბეჭედი და მისცეს ჭონის უსტაბაშს.

უსტაბაშმა გავზავნა ნარიყალის ციხის უხუცესთან,  
რომ გივლას ოსტატს და, საწოგადოდ, ყველას სიხა-  
რულს ბოლო არა ჰონდა ამის გამოისოსით.

გივლას ოსტატს და, საწოგადოდ, ყველას სიხა-  
რულს ბოლო არა ჰონდა ამის გამოისოსით.

მეორე დღეს დილით ყველა იმ სოვდაგრებს  
სამეფო სამსჯავრომ რამოდენიმე ოქრო ჯარიშა დაადო  
და რამდენიმე ხნითაც ნარიყალის ციხეში ჩასხა.

სოვდაგრებმა უარი განაცხადეს: ჩვენ ქართვე-  
ლები არა ვართ და ამიტომ ქართველთ მეფების  
კანონებით გასამართლება ჩვენი რჯულის წინააღმ-  
დეგიათ. ჩვენ ვითხოვთ, ჩვენი კანონის ძალით  
გაგვასამართლონო.

მეფე არ გაწყრა ამაზე. შეისმინა თათარ სოვ-  
დაგრების ლაპარაკი, — კარგიო! უბრძანა მეფემ და  
საჩქაროდ ნაზირ-ვეზირის მიმართვა:

— წადით საჩქაროდ და თფილისის მუფტს და  
მუდერის უთხარით, რომ თვეიანთის ყადებით აქ  
მობრძანდენ. „ყურანი“ და სხვა წიგნებიც წამოი-  
ღონ. უბრძანა მეფემ.

— გიახლებით, დიდებულო მეფევ, — მიუგო  
ნაზირმა და წავიდა საჩქაროდ.

თათარ სოვდაგრებმა მეფეს დიდის მორიდებით  
პატიობა სთხოვეს: გზაზე ვდგევართ, ქარავანი გვი-  
ცდის, რომ წავიდენ. და აქ დავრჩეთ, დავიღუპებით.  
დიდ-ძალი საქონელი დაგვირჩება აქ და შეიძლება  
წაგვიხდეს კიდეცო.

— ნუ იქთ ასეთს საქმეს, დაანებეთ ხალხის  
ტაციობას თავი და არ მოგივათ ასე. სხვის შვილს  
რომ იტაცებთ და მიგყავთ თანა, მათ პატრონებს  
რაღა პასუხს აძლევთ?

— მე უნდა მე შვილა, დიდებულო მეფევ. ოქვენს მონათ გვიგულეთ, ფეხთა მტვრათა და დიდ სასჯელს ნუ დაგვადებთ. მოახსენეს მეფეს.

— ოქვენის „ყურანის“ ძალით, რასაც გადასწყვეტენ ყადები, ის დაგვადებათ. ჩემის მხრით ვეც-დები, რომ მცირე იქნეს ოქვენი საჯელი.

— შეიძლება ჩვენი სასჯელი ჩვენ ქვეყანაში გადავიხადოთ?

— არ ვიცი, ამას ოქვენის სჯულის მოსამართლენი გადასწყვეტენ. უბრძანა მეფემ.

ამ დროს მოვიდენ მუდერის, მუფტი, ყადები; თან მოიტანეს „ყურანი“. მეფემ ამათ სასჯელის შემსუბუქება დაავალო.

— მოსამართლენო! ესენი მგზავრები არიან, ქარავანი უცდისთ და ამიტომ ითხოვენ საქმის პატივებას, ანუ მცირე სასჯელს. უბრძანა მეფემ.

— რასაც „ყურანი“ გვიბრძანებს, ჩვენ იმაზე მეტს ვერას დავადგენთ.

— ი, მე ჩემის მხრით, იმ დანაშაულობას გა-პატივებთ, რაც ქრისტიანულის წესით სასჯელი დ გდეთ. უბრძანა მეფემ.

— ეხლა ჩვენ ვიცით, დიდებულო მეფეო. მოხსენეს მსაჯულებმა.

მეფე წამობრძანდა, მოსამართლეებმა საქმის გარჩევა დაიწყეს და სატრიკის წესით დასაჯეს სოვ-დავრები.

იმათ ეგონათ, რომ „ყურანის“ ძალით შეგვი-მსუბუქდება სასჯელიო; მაგრამ ის კი არა და, ერთი-ორათ გაუორკეცდათ.

894.63

551

ფასი 15 ქან.

### გ ზ ა დ დ ე ბ ა:

- 1) გმირი ქოროლლი
- 2) აბესალომ და ეთერი
- 3) ალექსანდრე ლუდვიკიანი
- 4) საარშიყო თაიგული
- 5) ბაზარი — დ. გივი შეილისა
- 6) სიზმრის ახსნა
- 7) ალექსიანი

მიხამართი: ქ. ფოთი, გურიის ქუჩა, ოედორე მაღლაკელიძის  
სახლი № 11, ალექსანდრე შახბარათოვთან

იყიდება სხვა და სხვა ქართული წიგნები. აგრეთვე მისი გამოცემები  
იყიდება ქ. გორში, წიგნის მაღაზიაში ს. მაისურაძესთან

იყიდება წიგნები